კანონის უზენაესობა: გზამკვლევი

VENICE COMMISSION
COMMISSION DE VENISE

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები

კანონის უზენაესობა, დემოკრატია და ადამიანის უფლებები — ევროპის საბჭოს სამი საყრდენი — ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და განუყოფელია.

- დემოკრატია უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ადამიანის უფლებები იცავს ინდივიდებს მათ თავისუფლებაში თვითნებური და გადაჭარბებული ჩარევისაგან და უზრუნველყოფს ადამიანის ღირსებას;
- კანონის უზენაესობის პრინციპით მართული სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ საჯარო ხელისუფლების განხორციელება ექვემდებარებოდეს რეგულაციებსა და მონიტორინგს.

კანონის უზენაესობა ხელს უწყობს დემოკრატიის განმტკიცებას, რადგან ის აწესებს ანგარიშვალდებულებას საჯარო ხელისუფლების განმახორციელებლებისთვის. ის იცავს ადამიანის უფლებებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემის მეშვეობით და უმცირესობებს — უმრავლესობის თვითნებური მმართველობისაგან.

რატომ არის ეს აუცილებელი?
სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციები, მიდრეკილია არასტაბილურობისა და ძალაუფლების თვითნებური გამოყენებისკენ. კანონის უზენაესობა იცავს თითოეული ადამიანის ძირითად თავისუფლებებს. ის თანამედროვე დემოკრატიების საყრდენია.

კანონის უზენაესობა ეფუძნება ხუთ ფუნდამენტურ პრინციპს:

- **კანონიერება** — კანონები ვრცელდება ყველაზე და ზღუდავს ძალაუფლებას.
- **სამართლებრივი სიცხადე** — კანონები ზუსტი, ხელმისაწვდომი და განჭვრეტადია.
- **ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია** — ხორციელდება კონტროლი თვითნებობის თავიდან ასაცილებლად.
- **კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა** — კანონები იცავს ყველას და გამოიყენება ყველას მიმართ თანაბრად, ხოლო დისკრიმინაცია აკრძალულია.
- **დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა** — ყველას შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში.

მალტელი მხატვრის, ნადინ თეუმას, ილუსტრაციები თემაზე „იუსტიცია“





კანონიერება

კანონები ვრცელდება ყველაზე და ზღუდავს ძალაუფლებას.

კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ სახელმწიფოში ხელისუფლებისა და მოქალაქეების ქმედებები რეგულირდება დემოკრატიულად მიღებული კანონმდებლობით. აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუძლია ძალაუფლების განხორციელება და საკუთარი ნების თავს მოხვევა შეზღუდვებისა და ზედამხედველობის გარეშე.

ძირითადი პრინციპები

- ყველა გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს კანონის ფარგლებში.
- კანონები უნდა მიიღებოდეს ცხადი და გამჭვირვალე დემოკრატიული პროცესის შესაბამისად.
- ხელისუფლების გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის კონტროლს. მთავრობას არ შეუძლია საკუთარი უფლებამოსილებების გაფართოება კონსტიტუციით დადგენილი წესების გვერდის ავლით.
- აუცილებელია საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების, ასევე საერთაშორისო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამოყენება და აღსრულება.
- კანონი უნდა აღსრულდეს ეფექტიანად.

რატომ არის ეს აუცილებელი?
თუ ძალაუფლება კანონის ფარგლებში არ ხორციელდება, დგება მისი ბოროტად გამოყენების საფრთხე. მაგალითად, მთავრობას შეეძლება მოქალაქეთა თავისუფლებების შეზღუდვა საკუთარი შეხედულებისამებრ. დემოკრატიულად მიღებული კანონმდებლობის სიცხადე და პატივისცემა უზრუნველყოფს სამართლიანობასა და თანასწორობას ყველასთვის.



სამართლებრივი სიცხადე

კანონები ზუსტი, ხელმისაწვდომი და განჭვრეტადია.

სამართლებრივი სიცხადე უზრუნველყოფს, რომ კანონები ზუსტი, ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი იყოს და არ მოხდეს მათი გამოყენება უკუძალით. ამრიგად, ყველას აქვს შესაძლებლობა წინასწარ იცოდეს საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

ძირითადი პრინციპები

- კანონები და სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები.
- კანონები არ უნდა იცვლებოდეს სპონტანურად და უნდა იყოს თანმიმდევრული.
- პირი არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნეს ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ან სამართალდარღვევას იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს.

რატომ არის ეს აუცილებელი?
იმისათვის, რომ ადამიანებმა იმოქმედონ თავდაჯერებულად, მათ უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ბუნდოვანი ან სწრაფად ცვალებადი კანონები ქმნის გაურკვევლობასა და არასტაბილურობას და ადამიანებს დაუცველს ხდის არაპროგნოზირებადი სანქციების მიმართ.



ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია

ხორციელდება კონტროლი თვითნებობის თავიდან ასაცილებლად.

შეუზღუდავი და უკონტროლო ძალაუფლება იწვევს უსამართლობას. აბსოლუტური ძალაუფლების საფრთხეები მოიცავს თვითნებურ გადაწყვეტილებებს, კორუფციასა და პოლიტიკურ რეპრესიებს. მაგალითად, სასამართლოს ნებართვის ან ზედამხედველობის გარეშე განხორციელებულმა გადაჭარბებულმა მეთვალყურეობამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დარღვევა.

ძირითადი პრინციპები

- ხელისუფლების დანაწილება: ძალაუფლება არ უნდა იყოს კონცენტრირებული ერთი ორგანოს ხელში.
- დასაბუთების ვალდებულება: საჯარო გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და განმარტებული.
- სასამართლო ზედამხედველობა: შესაძლებელი უნდა იყოს ყველა საჯარო გადაწყვეტილების გასაჩივრება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოებში.

რატომ არის ეს აუცილებელი?
ზედამხედველობის გარეშე, მთავრობამ შეიძლება მიიღოს თვითნებური გადაწყვეტილებები, ცენზურა დაუწესოს თავის ოპონენტებს ან ძირითადი თავისუფლებებიც კი გააუქმოს. კანონის უზენაესობა ადგენს დაცვის მექანიზმებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსგავსი მცდელობების თავიდან ასაცილებლად.



კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

კანონები იცავს ყველას და გამოიყენება ყველას მიმართ თანაბრად, ხოლო დისკრიმინაცია აკრძალულია.

კანონის უზენაესობა მოითხოვს, რომ ყველას ჰქონდეს კანონით დადგენილი თანაბარი უფლებები და მოვალეობები და არ არსებობდეს გაუმართლებელი განსხვავებები მათ მიმართ მოპყრობაში.

კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს, რომ:

- დაუშვებელია ადამიანებს შორის გაუმართლებელი განსხვავების არსებობა, იქნება ეს კანონის შინაარსი თუ მისი გამოყენება.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვა დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან.
- ყველასთვის გარანტირებული უნდა იყოს ერთნაირი უფლებები და მოვალეობები.
- დისკრიმინაციის ნებისმიერ მსხვერპლს უნდა ჰქონდეს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა.

ძირითადი მიღწევები — ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების მაგალითი

ევროპაში ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების დაგვიანება ისტორიული დისკრიმინაციის მაგალითია. ფინეთი იყო პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც ქალებს ხმის მიცემის უფლება 1906 წელს მიანიჭა. მხოლოდ 1918 წლის შემდეგ გავრცელდა ეს უფლება ევროპის სხვა ქვეყნების უმეტესობაზე და ის ევროპაში საყოველთაო გახდა მხოლოდ 1984 წლიდან. დღეს კანონის უზენაესობა არა მხოლოდ იცავს ქალთა ხმის მიცემის უფლებას, არამედ უზრუნველყოფს და ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში დისკრიმინაციის გარეშე.

დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

ყველას შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში

დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს ადამიანებს, დაიცვან თავიანთი უფლებები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობა — იქნება ეს პირის სამსახურიდან გათავისუფლება, მისთვის საკუთრების ჩამორთმევა თუ შვილებთან ურთიერთობის შეწყვეტა — მომჩივანთა უფლებების დარღვევას წარმოადგენს. სწრაფი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება აუცილებელია უფლებების თანაბარი დაცვის უზრუნველსაყოფად.

ძირითადი პრინციპები

- ყველას აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს და გარანტირებული ჰქონდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ წარმოებული სამართლიანი პროცესი.
- გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია და მკაფიოდ განმარტებული.
- იურიდიული კონსულტაცია და დახმარება ხელმისაწვდომია იმ პირთათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ამისათვის საკმარისი საშუალება.
- პროცედურები გონივრულად სწრაფი და იაფია.
- სასამართლოს გადაწყვეტილებები სრულდება.

რატომ არის ეს აუცილებელი?
მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გარეშე, უსამართლოდ დაზარალებული მოქალაქეები ვერ შეძლებენ თავიანთი უფლებების დაცვას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემა, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

PAX
TIBI
MAR
EVAN
GELI
STA

კანონის უზენაესობა მოქმედებაში

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის როლი

ვენეციის კომისია დაეხმარა თავის წევრ სახელმწიფოებს ისეთი კონსტიტუციური სისტემების შემუშავებაში, რომლებიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელ განხორციელებას. კომისიამ ასევე შეიმუშავა ინსტრუმენტი — კანონის უზენაესობის კრიტერიუმების საკონტროლო სია — კონკრეტულ ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრინციპების განხორციელების დონის შესაფასებლად.

ვენეციის კომისიის კანონის უზენაესობის კრიტერიუმების საკონტროლო სია

2016 წლის კანონის უზენაესობის კრიტერიუმების საკონტროლო სია წარმოადგენს კანონის უზენაესობის ძირითად პრინციპებს — კანონიერებას, სამართლებრივ სიცხადეს, ძალაუფლების ბოროტად და არასათანადოდ გამოყენების პრევენციას, მართლმსაჯულების ხელმისწვდომობას, თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვას — საბაზისო კრიტერიუმების ჩამონათვალის სახით, დეტალური პარამეტრებითა და შესაბამისი წყაროების მითითებით.

საკონტროლო სიის გამოყენებით მთავრობას, პარლამენტს, სამოქალაქო საზოგადოებას, მოქალაქეებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ შეაფასონ, თუ რამდენად არის დაცული კანონის უზენაესობის პრინციპები მოცემულ სახელმწიფოში. ამრიგად, საკონტროლო სია საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს სისუსტეები ან ხარვეზები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან მოქმედებას მოითხოვს. ვენეციის კომისიამ მრავალი რეკომენდაცია გასცა, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს მსგავსი სისუსტეები და ხარვეზები.

ვინ ვართ ჩვენ?

ვენეციის კომისია „სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად“ ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოა კონსტიტუციური სამართლის სფეროში, რომელიც დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან შედგება.

კომისია 1990 წლის 10 მაისს, იტალიელი მკვლევრის, ანტონიო ლა პერგოლას, იდეის საფუძველზე შეიქმნა. ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, კომისია მრავალ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანას დაეხმარა დემოკრატიული კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის მიღებასა და შემდგომში ევროპის საბჭოში გაწევრიანებაში.

დღესდღეობით კომისია წევრ სახელმწიფოებს ეხმარება საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების შემუშავებაში. კომისიის რეკომენდაციების შესრულებამ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი გაამარტივა.

მისია

მოთხოვნის შემთხვევაში და ქვეყნის ხელისუფლებასთან, სახელმწიფო ინსტიტუტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების ინკლუზიური პროცესის მეშვეობით, ვენეციის კომისია აფასებს კონსტიტუციურ და საკანონმდებლო რეფორმებს, განსაკუთრებით საარჩევნო და მართლმსაჯულების სფეროებში, და გასცემს არასავალდებულო რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ეს რეფორმები დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვისა და განხორციელების, ასევე ეფექტიანი და სიცოცხლისუნარიანი მმართველობის სისტემების შემუშავების მიზნით.

წევრი სახელმწიფოები

ვენეციის კომისია მოიცავს ევროპის საბჭოს 46 წევრ ქვეყანას და 15 სხვა წევრს ამერიკის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან.

რატომ ვენეცია?

ევროპულ კომისიას „სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად“ „ვენეციის კომისია“ ეწოდა ცნობილი იტალიური ქალაქის გამო, სადაც გაიმართა მისი პირველი შეხვედრა და სადაც ის წელიწადში ოთხჯერ იკრიბება.

1990-2025 — მიღწევები

თავისი არსებობის 35 წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმისა და ინკლუზიური სამუშაო მეთოდების წყალობით, ვენეციის კომისიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დემოკრატიული კონსტიტუციების მიღების პროცესზე და ხელი შეუწყო სახელმწიფო ინსტიტუციების დემოკრატიულ ფუნქციონირებას. კერძოდ, კომისიამ ხელი შეუწყო წევრ სახელმწიფოებში კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვას, ხელისუფლების შტოების გამიჯვნასა და სასამართლო სისტემების დამოუკიდებლობის გაძლიერებას.

- **1000-ზე მეტი** დასკვნა და ანგარიში გამოიცა კონსტიტუციურ და საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით
- **50-ზე მეტი** კონსტიტუცია შემუშავდა ან გადაიხედა კომისიის დახმარებით
- **200-ზე მეტმა** დამოუკიდებელმა იურიდიულმა ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა კომისიის საქმიანობაში

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენგანისთვის?
კანონის უზენაესობა ნიშნავს:
სტაბილურ და მშვიდობიან დემოკრატიას.
თავისუფალ, ხელისუფლების თვითნებობისაგან დაცულ მოქალაქეებს.
უფრო სამართლიან, თანასწორ საზოგადოებას.

ილუსტრაციები: *ნადინ თეუმა*

ყველა უფლება დაცულია.
ამ პუბლიკაციის ნებისმიერი ნაწილის
თარგმნა, კოპირება ან გადაცემა
დაუშვებელია კომუნიკაციების
დირექტორატის წინასწარი
წერილობითი ნებართვის გარეშე
(F-67075 სტრასბურგი Cedex
ან publishing@coe.int).

ფოტოები © ევროპის საბჭო

გამოქვეყნებულია ევროპის საბჭოს მიერ
F-67075 Strasbourg Cedex
www.coe.int

© ევროპის საბჭო, 2025 წლის დეკემბერი

ვენეციის კომისიის ვებგვერდი
https://venice.coe.int

M. O. BUGUCCHIO

წინამდებარე ბროშურა მიმოიხილავს კანონის უზენაესობის ძირითად პრინციპებს: კანონიერებას, სამართლებრივ სიცხადეს, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას, კანონის წინაშე თანასწორობასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. ეს პრინციპები წარმოადგენს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საფუძველს და უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულ მმართველობას, ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვასა და სამართლიანობას საზოგადოებაში. გაიგეთ, როგორ უწყობს ხელს ევროპის საბჭო, ვენეციის კომისიის საქმიანობის მეშვეობით, სახელმწიფოებს ამ სტანდარტების დამკვიდრებასა და თვითნებური ძალაუფლებისგან მოქალაქეების დაცვაში. წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია პოლიტიკის შემმუშავებლების, სტუდენტებისა და დაინტერესებული მოქალაქეებისთვის. იგი განმარტავს, რატომ არის კანონის უზენაესობა მნიშვნელოვანი და როგორ იცავს იგი ჩვენს თავისუფლებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

VENICE COMMISSION
COMMISSION DE VENISE

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE